ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №137511

ნომერი: AR137625

თარიღი : 06.04.2012

გაცემის თარიღი : 25.04.2012

გაცნობის თარიღი : 25.04.2012

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ბორჯომი , N 17 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- რევაზ ტყემალაძე პ/ნ 01024004230
- ჭავჭავაძის 12

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2007 წლის 27 აგვისტოს #11326 ქალაქთმშენებლობითპირობებში ცვლილების შეტანის შესახებ

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურს 2012 წლის 06 აპრილს #AR137625 განცხადებით მომართა მოქ. რევაზტყემალაძემ და მოითხოვა ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2007 წლის 27 აგვისტოს #11326 ქალაქთმშენებლობითპირობებში ცვლილების შეტანა საპროექტო ტერიტორიის კონფიგურაციის, ფართობისა და საკადასტრო კოდის ცვლილების გამო.

საქართველოსზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად სამსახურმა შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის მიერ 2007 წლის 27 აგვისტოს დადგინდა #11326 ქალაქთმშენებლობითპირობები

ქ. თბილისში, დიდუბე–ჩუღურეთისრაიონში, ბორჯომის ქ. #17–ში არსებულ310 კვ.მ. მიწის ნაკვეთზესავაჭრო–საოფისეობიექტის ასაშენებლად. 2012 წლის 06 მარტის ##01/562 ბრძანებით შეთანხმდა ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე სავაჭრო–საოფისეშენობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა შესაბამისი მშენებლობის ნებართვა (სანებართვო მოწმობა #ნ/570–1), რომელიც ძალაშია 2012 წლის 09 მაისამდე.

დღეისმდგომარეობით განხორციელებულია საპროექტო მიწის ნაკვეთის მესაკუთრის, კონფიგურაციის, ფართობისა და საკადასტრო კოდის ცვლილება, რაც დასტურდება სჯარორეესტრის ამონაწერით (ფართობი 303 კვ.მ, მესაკუთრე შპს ,,ინდეკო", ამონაწერის რეგისტრაციის №882012146106; საკადასტრო კოდი: 01.13.07.025.043, ამონაწერისმომზადების თარიღი: 05.04.2012წ).

ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის #11326 ქალაქთმშენებლობითპირობები მომზადებულია შპს ,,გლგ"–სდირექტორის გ. მამულაშვილის განაცხადის საფუძველზე მაღალი ინტენსივობის საზოგადოებრივ–საქმიანიზონის პარამეტრებით და პირობებით. ამ ეტაპზე განმცხადებელი არის ობიექტის დღევანდელი მესაკუთრის – შპს ,,ინდეკოს" მიერ მინდობილი პირი რევაზ ტყემალაძე, რომელსაც წარმოდგენილი აქვს ნასყიდობის ხელშეკრულება და მინდობილობა აღნიშნული საქმის წარმოების შესახებ და ამდენად, დამატებითი თანხმობა წარმოსადგენი არ არის. ამასთან, ვინაიდან დღევანდელი მდგომარეობით, ობიექტი არის მშენებარე და მასზე ვრცელდება იგივე ქალაქთმშენებლობითიპარამეტრები, რაც გაცემულ #11326 ქალაქთმშენებლობითპირობებში, ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით მიზანშეწონილია, ზემოაღნიშნულ #11326 ქალაქთმშენებლობითპირობებში შევიდეს ცვლილებები და საპროექტო ტერიტორიად დაფიქსირდეს 303 კვ.მ. ფართობისა და 01.13.07.025.043 საკადასტრო კოდის მქონე მიწის ნაკვეთი.

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოსმთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით, მათ შორის ამ დადგენილებით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის. ამდენად, ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისადა სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების, ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ და ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის05 ივნისის №6-17 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის“ თანახმად

ვბრძანებ

1. დაკმაყოფილდეს მოქ. რევაზ ტყემალაძის 2012 წლის 06 აპრილის #AR137625 განცხადება;
2. ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2007 წლის 27 აგვისტოს #11326 ქალაქთმშენებლობით პირობებში შეტანილი იქნეს ცვლილება, კერძოდ: საპროექტო მიწის ნაკვეთად დაფიქსირდეს 303 კვ.მ. ფართობისა და 01.13.07.025.043 საკადასტრო კოდის მქონე მიწის ნაკვეთი.
3. აღნიშნული გადაწყვეტილება განხილული იქნას ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2007 წლის 27 აგვისტოს #11326 ქალაქთმშენებლობით პირობებთან და # AR137625 განცხადებასთან ერთად;

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.